წერილის ნომერი: **30-302523273**
თარიღი: **20/08/2025**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“-სთვის (ს/კ 433650462) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2025 წლის 18 აგვისტოს N 104 წერილით (კანცელარიის N 10/302523068-30 – 18.08.2025 წელი) მომართა ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“-ს დირექტორმა და ითხოვა საოფისე ფართის, დახურული საწვრთნელი დარბაზისა და სამუშაო ოთახების მოწყობის მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ გვიმბალაურში მდებარე N 27.08.47.431 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული შენობა-ნაგებობაში არსებული შემდეგი ფართების : პირველ სართულზე ოთახი N 14 – 276,12 კვ.მ. მეორე სართულზე ოთახი N 6 – 10,13 კვ.მ. ოთახი N 8 – 8,34 კვ.მ. და ოთახი N 11 – 35.00 კვ.მ. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხსენებული ა(ა)აიპ-ის არსებობის ვადით სარგებლობაში გადაცემა.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონება ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“-ს (ს/კ 433650462) გადაეცეს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი პროექტი და მოგვცეთ თანხმობა.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსის ვარდენ კვაჭაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ა (ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა

2800 ლანჩხუთი გვიმბალაური ტ. 551 09 00 10; 593 25 71 11

N 104

18 აგვისტო 2025 წ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლას ესაჭიროება საოფისე ფართი, სამუშაო ოთახების მოწყობის მიზნით, ასევე ესაჭიროება დახურული დარბაზი საწრთნელი მეცადინეობების ჩასატარებლად.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ გადმოგვცეთ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლა"-ს (ს/კ 433650462) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის" არსებობის ვადით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ N 27.08.47.431 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ შენობა N 1 დან შემდეგი ფართები : პირველ სართულზე ოთახი ნ 14 – 276,12 კვ.მ. მეორე სართულზე ოთახი N 6 – 10,13 კვ.მ. ოთახი N 8 – 8,34 კვ.მ. ოთახი N 11 – 35,00 კვ.მ.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საფეხბურთო სკოლის დირექტორი: /ზაალ სანაძე/

2 სართულიანი
არასაცხოვრებელი ფართი
სკ: 27.08.47.431
განაშენიანების ფართი 1127.48მ²



შიდა აზომვითი ნახაზი

შიდა ფართი 996.82მ² Iსართული

			ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი		
მესაკუთრე	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი		შემსრულებელი		გ.დოლიძე tel. 591452272
მისამართი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. გვიმბალაური		მასშტაბი 1:250		თარიღი 06.02.2025

2 სართულიანი
არასაცხოვრებელი ფართი
სკ: 27.08.47.431
განაშენიანების ფართი 1127.48მ²



შიდა აზომვითი ნახაზი

შიდა ფართი 514.48მ² IIსართული

			ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი		
მესაკუთრე	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი		შემსრულებელი		გ.დოლიძე tel. 591452272
მისამართი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. გვიმბალაური		მასშტაბი 1:250		თარიღი 06.02.2025

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური

წერილის ნომერი:**08-30252311**
თარიღი: **19/08/2025**

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოთ.

2025 წლის 18 აგვისტოს N 104 განცხადებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას N104 განცხადებით მომართა (კანცელარიის N 10/302523068-30 – 18.08.2025 წელი) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ (ს/კ 433650462) დირექტორმა ზაალ სანაძემ რომლითაც მოთხოვნილია სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, მათი არსებობის ვადით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ გვიმბალაურში მდებარე N 27.08.47.431 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული შენობა-ნაგებობაში არსებული შემდეგი ფართების : პირველ სართულზე ოთახი N 14 – 276,12 კვ.მ. მეორე სართულზე ოთახი N 6 – 10,13 კვ.მ. ოთახი N 8 – 8,34 კვ.მ. და ოთახი N 11 – 35.00 კვ.მ. გადაცემა. ზემოთ აღნიშნული ფართები ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლას“ ესაჭიროება საოფისედ, სამუშაო ოთახების მოსაწყობად, ასევე ესაჭიროებათ დახურული დარბაზი საწვრთნელი მეცადინეობის ჩასატარებლად.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“-ს (ს/კ 433650462) გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით მისი არსებობის ვადით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ გვიმბალაურში მდებარე N 27.08.47.431 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული შენობა-ნაგებობაში არსებული შემდეგი ფართები : პირველ სართულზე ოთახი N 14 – 276,12 კვ.მ. მეორე სართულზე ოთახი N 6 – 10,13 კვ.მ. ოთახი N 8 – 8,34 კვ.მ. და ოთახი N 11 – 35.00 კვ.მ.

ზემოთაღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად საჭიროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანება.

პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსის ვარდენ კვაჭაძის კანდიდატურას.

გთხოვთ დაავალოთ ადმინისტრაციულ და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება.

პატივისცემით:

ირაკლი ხუხუნაიშვილი

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური

წერილის ნომერი:**08-302523263**
თარიღი: **20/08/2025**

ადრესატი:

შოთა ჩაგუნავა
ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური-სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიყტეტის მერიის

ადმინისტრაციული და სამართლებრივი

უზრუნველყოფის სამსახურის

უფროსს შოთა ჩაგუნავას

ბატონო შოთა,

2025 წლის 19 აგვისტოს N 08-30252311 მოხსენებით ბარათზე დამატებით გიგზავნით ააიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრის ID 433649359 დირეტორის N 35 წერილს.

პატივისცემით,

ირაკლი ხუხუნაიშვილი

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-სამსახურის უფროსი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
2025 წლის აგვისტო
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა"-სთვის (ს/კ 433650462) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, საოფისე ფართის, დახურული საწვრთნელი დარბაზისა და სამუშაო ოთახების მოწყობის მიზნით, გადასცეს ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა"-ს (ს/კ 433650462) მისი არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ გვიმბალაურში მდებარე N 27.08.47.431 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული შენობა-ნაგებობაში არსებული შემდეგი ფართები: პირველ სართულზე ოთახი N 14 – 276,12 კვ.მ. მეორე სართულზე ოთახი N 6 – 10,13 კვ.მ. ოთახი N 8 – 8,34 კვ.მ. და ოთახი N 11 – 35.00 კვ.მ..

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის" მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
სპორტული ცენტრი

2800 ლანჩხუთი გორგასალის ქ.N11 ტ. 8 494–22–31–64

N- 35

20 აგვისტო 2025 წ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრი გთხოვთ შეწყვიტოთ ს/კ 27.08.47.431 რეგისტრირებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა ID 233730139 და ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრს ID 433649359 შორის 2016 წლის 13 ივნისის N-2 უზუფრუქტის ხელშეკრულება.

სპორტული ცენტრის დირექტორი _____ დ.მარშანიშვილი